

სალოგანბრდა ვეროელი

ქართული დემოკრატიის
1921 წლიდან

სათხაბათი
7
ივნისი
№ 63 (11549)
1990

სალოგანბრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

საზოგადოება „სოლნა“ დაპოუქიდავლოვის გზით

რესპუბლიკურ საზოგადოება „სოლნა“ სჭირდება ახალი წესდებები, რომელიც განამტკიცებს მის დამოუკიდებლობას. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა. ჩამოყალიბდა ახალი წესდების პროექტის შემუშავებელი კომისია, რომელშიც შევიდნენ მეცნიერების, კულტურის, განათლების ცნობილი მოღვაწეები. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი შოთა მიძიგური.

— რასთან დაკავშირებით წარმოიშვა ახალი წესდების შექმნის აუცილებლობა?

— ამ კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ხუგზარ წერეთელს.

— როგორც ცნობილია, ამა წლის 1 იანვრიდან ჩვენი საზოგადოება სამეურნეო ანგარიშსა და

თვითდაფინანსებაზე გადავიდა. ეს ნაბიჯი გადავდგით ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შემდეგ. ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ საშუალება მოგვცა თვითონ განვსაზღვროთ სალექციო და საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებანი, შემოვიღოთ ახალი წესები, რომლებიც უკეთ ასახავს ჩვენი საზოგადოებრიობის სურვილს. თუ გვინდა შემდგომშიც განვხორციელოთ საკავშირო საზოგადოება „სოლნისაგან“ დამოუკიდებელი საქმიანობა, ახალი, ჩვენი ეროვნული წესდების შემუშავება აუცილებელია. დღემდე ჩვენ ვხელმძღვანელობდით საკავშირო წესდებით, რომელიც ერთნაირი იყო 15-30 რესპუბლიკისათვის.

— როდის მიიღებთ წესდებებს?

— ერთ თვეში კომისია დამთავრებს მუშაობას. შემდეგ წესდების პროექტს დავეუზავებით საზოგადოების ყველა ორგანიზაციას.

ჩვენს აქტივს. შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, პროექტი დაიხვეწება. შემდეგ კი, სექტემბერში საზოგადოების მომავალ პლენუმზე, იგი საბოლოოდ დამტკიცდება.

— „საზოგადოება „სოლნის“ დამოუკიდებლობის გაფართოებასთან დაკავშირებული კიდევ რა საკითხები განიხილა პრეზიდიუმმა?

— იყო რამდენიმე საკითხი, კაცმა რომ თქვას, ისინი მთავარი გახლდათ ღღის წესრიგში. მაგალითად, პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ ბროშურების ბაზაზე, რომლებიც წელიწადში სულ ცოტა 60 დასახელებისაა, გამოსცეს წიგნები, რომლებიც დღეს გაზრდილ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს. უკვე ახლა დასაბუქდად მზად არის გურამ შარაძის, სოლომონ ხუციშვილის, სხვა ავტორთა წიგნები. ძირითადი დასკვნა კი ასეთი იყო: საზოგადოების საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციასთან, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღწევასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.

საქინფორმი


ვიცოდათ ჩვენი ისტორია



1. ქ. ხენაკი, კალანდარაშვილის
წმინდა გიორგის ეკლესია
(XIII ს.).

2. ქ. ასტრახანი. მიძინების ტაძარი, სადაც განისვენებენ ქართული მეფეები — ვახტანგ მეექვსე და თეიმურაზ მეორე.

თამაზ ძიძავას ფოტოები



შეიქმნა ბუნების დაცვის ფონდები

ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განსახორციელებლად, დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკაში შეიქმნა ბუნების დაცვის ადგილობრივი და რესპუბლიკური ფონდები. ამასთან დაკავშირებით ბუნების

დაცვის ადგილობრივი ფონდების ხელმძღვანელობა და ფონდის მფლობელის ფუნქციები დაეისრაათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

ბუნების დაცვის რესპუბლიკური ფონდის ხელმძღვანელობა და ფონდის

ნდის მფლობელის ფუნქციები დაეისრა საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

დამტკიცდა დებულება საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის ადგილობრივი და რესპუბლიკური ფონდების შექმნისა და გამოყენების შესახებ.

საქინფორმი

ღმერთის და კანის იმედი...

კეთილ საქმეებს აკეთებენ საქველმოქმედო საზოგადოება „სავენეთას“ წევრები, როცა ავადმყოფ, დავრდომილ და გაჭირვებულ აღამიანებს ეხმარებიან. ამ მისიით ესტუმრნენ ისინი ამას წინათ ტრავმატოლოგიისა და ორთოპედის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსაც მარტყოფელ მამა ზაქარაიასთან (ძინძიბაძე) ერთად. მათ მოინახულეს და ანუგეშეს ავადმყოფები, მათთან ერთად ილოცეს და აანთეს სანთლები, ხოლო მამა ზაქარაიამ აკურთხა ავადმყოფთა პალატები თუ საოპერაციოები.


ქართული ორთოპედული და ტრავმატოლოგიური სკოლა მთელს კავშირშია სახელგანთქმული (და მარტო კავშირში). სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართველმა დასტაქრებმა ოპერაციებში კერამიკის გამოყენების უნიკალური პრაქტიკა დაამკვიდრეს (გაიხსენეთ: ღმერთმა აღამიანი თიხისაგან შექმნა...) მაგრამ ინსტიტუტს დიდი პრობლემებიც აქვს. პირველ რიგში ესაა შენობის საკითხი. ამ ცოტა ხნის წინ ტელევიზიითაც აჩვენეს, როგორაა დაზარალი მისი კედლები, რო-

გორი საშიშია უკვე ამ შენობაში მუშაობა, მაგრამ...
ჯერჯერობით პრაქტიკულად თითქმის არაფერი კეთდება ახალი შენობის ასაგებად. არადა, ავარიულობაც რომ არა, ისედაც არაა საწყობო პალატები თუ საოპერაციო შესახვევი ოთახები (ზოგიერთ პალატაში ათე ავადმყოფი წევს).
სამწუხაროდ, ჩვენს ნიჭიერ სპეციალისტებს უმეტესად ასეთ პირობებში უწევთ მუშაობა და სამეცნიერო კვლევების ჩატარება. ამას თითქოს შევეგუეთ კიდევ, მაგრამ, როდემდე? მარტო ღმერთის იმედზე ამ საქმის დატოვება არ ივარგებს.

საქართველოს ინფორმაცია

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დაუბატავს

საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოს სახალხო ფრონტი პარასკევს, 8 ივნისს 16.00 საათზე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს იწვევს თბილისში, კინოს სახლთან.



ბალტიის გზით- თავისუფლების გზით

ვიტაუტას ლანდსბერგისი — „მე ვიცი იმ წინააღმდეგობების შესახებ, რომელმაც მოიცვა დღეს ქართული ეროვნული მოძრაობა. ვისურვებდი, რომ ისინი მალე გადავიწყობო“.

ინტერვიუ პრეზიდენტთან იხ. გვ-3 გვ.

საქართველოს
სსრ რესპუბლიკის
ბიბლიოთეკა

გალობის გზით — თავისუფლების გზით

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ბრძანით, რომ ლიტვა ყველაწარმოებულმა გაუქმდეს (მხედველობაში გქონდათ ეკონომიკური ხანძარი), რადგან ახალგაზრდობამ გამოავლინა პოლიტიკური სიმწიფე და აჩვენა, რომ ლიტვა მზად არის თავისუფლებისათვის. ამ სიტყვებიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენს ახალგაზრდობას...



სიმართლე გითხრათ, არ გვეგონა, თუ ლიტვაში ჩახსლები ვიტარებდით... ლანდსბერგისზე ამდენ ურთიერთსაინფორმაციო აზრს მოვიხმენდით. უკლავს, ვისაც კი ვესაუბრეთ, პრეზიდენტზეც ვეკითხებოდით. პასუხების ნუხსა დახლოებით ასეთი აღმოჩნდა: „ვალდებულებები... ენციკლოპედიური განათლების კაცია... არ გვეყვარს... ვვადიანებს მისი ყოველი ნაბიჯი... შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია... ლიტვის ხსნას ამ კაცში ვხედავთ... ამბიციურია, ხაკუთარ თავზე შეუვარდებული... თავდადალია, დღთან დიდია, პატარახთან — პატარა...“

— ახალგაზრდობა ყოველთვის მატებს ეროვნულ მოძრაობას სიკოტოსუნარიანობას, გარდაქმნის (ცხადია, ამ სიტყვის კარგი გაგებით) სურვილს და უნარს. ლიტვის ერთიანი ეროვნული მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ მასში სულ სხვადასხვა თაობის ადამიანები გაერთიანდნენ, ყოველთვის ახალგაზრდული სულის მატარებელი იყო. ეს კი მომავლის იმედით, იმის რწმენით გვაკვებდა, რომ ყველაფრის დაძლევა შეიძლება, თუკი ძალიან მოინდომებ. ამ ახალგაზრდული ჟრნის გარეშე „საიულისი“ არ იქნებოდა, და საერთოდაც არაფერი არ იქნებოდა.

კონკრეტულად ახალგაზრდობამაც დიდი როლი შეასრულა ყოველივე იმაში, რაც ჩვენთან მოხდა და ხდება. „საიულისი“ რომ ძირითადად, ახალგაზრდული კლუბების, მწვანეთა მოძრაობის, ძეგლოთა დაცვის, სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციებისაგან შეიქმნა და მას ყოველთვის ახალგაზრდული განწყობილება ასულდამულებდა. ამ განწყობილებას, ახალგაზრდული სულის აღტკინებას ჩვენ ახლაც ვგრძნობთ, მაგრამ...

ჩემთვის, მაგალითად, გაუგებარია და ძალზედ მათემატიკურად მართლებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, კერძოდ, სტუდენტობა, თითქმის არ გამოიყენებოდა არჩევნებში. რა არის ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ ახალგაზრდობა (სწორედ ახალგაზრდობის გამო) ძალზე ჩქარობს სასურველი შედეგის მიღებას, იქნებ ისიც, რომ მას საკუთარი ფიზიკური ძალების მოსიხვეჭვა, აქტიური მოქმედება უფრო სწავლია, ვიდრე განსჯა იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს, რომ ქვეყნის პარლამენტში მხოლოდ ღირსეულმა ადამიანებმა მოიყარონ თავი. დღეს, როდესაც მიტინგებისა და დემონსტრაციების დრო დამთავრდა, როცა ჩვენი ბრძოლა, ძირითადად პარლამენტურია, დავინახეთ, რომ ახალგაზრდობა ჩვენს გვერდით აღარ დგას. არადა, ჩემის ღრმა რწმენით, ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე საკუთარი სთქმელი და საქმე უნდა ჰქონდეს ყველას და პირველ რიგში, ალბათ, ახალგაზრდობას...

— ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თქვენი ახალგაზრდობა დაღალა პოლიტიკამ და ხაეროდაც უჭრება მასში მონაწილეობის სურვილი, რადგან პოლიტიკური სიმწიფე ხომ, რომელზედაც თქვენ აღრე ბრძანებდით, აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას მოსდევს. ჩვენთან, საქართველოში, მაგალითად, სწორედ სტუდენტობა იმდენად აქტიურად ჩაბმული პოლიტიკაში, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები მათ ზოგჯერ პოლიტიკური უნის დაოკებისაკენაც კი მოუწოდებდნენ—თქვენი მთავარი საქმე აქეთით, ისწავლეთ, პროფესიონალები გახდით...

— ამას მე ჩვენს ახალგაზრდობას ორი წლის წინათ მოვეწოდებდი და სიმართლე გითხრათ, ამ მოწოდების გამეორებამ მაინცდამაინც ხშირად არ დამპირებია. დღეს ლიტველი ახალგაზრდები მართლაც მთელი მონაწილეობით იძენენ ცოდნას და ეს ასეც უნდა იყოს — თავისუფალ ქვეყნის თავისუფალი, გობიერი, განსწავლული მომავალი სჭირდება და თანაც ყველაფერს, ყველა სფეროში, სხვაგვარად ნაკლებად, ცხადია, არც პოლიტიკაში. ამიტომ პოლიტიკამ არც დღეს და არც მომავალში არ უნდა დალოდოს ახალგაზრდობას...

— მაგრამ ხომ არიან ლიტვაში ახალგაზრდები, რომლებიც არამც-თუ დაღალა პოლიტიკაში, არამედ, როგორც თავად ამბობენ, ხაერთოდაც მოკლა იხანი (ცხადია, აქ საბჭოთა პოლიტიკაზეა ლაპარაკი). არ გრძნობთ იმის საშიშროებას, რომ შეიძლება თქვენმა პოლიტიკამაც მოკლას ვინმე?
— მე ვიცი ამ ახალგაზრდების განწყობილების შესახებ. ისინი

ამ რუბრიკით რამდენიმე ნომარში შემოგთავაზებთ წერილებს გალობის რესპუბლიკებზე.

რდობას თავისუფლების ამ ხანმოკლე პერიოდში და დღეს რომლის ჭერი დგას?

— ჯერ ბოლომდე არაფერი გადაგვიწყვეტია. ისე კი, მთელი ჩვენი დღევანდელი შრომა და ბრძოლა ერთ მთავარ მიზანს ემსახურება — დავუბრუნოთ ლიტვულ ახალგაზრდობას წართმეული მომავალი.

— თქვენი ვატიშვილი თბილისში სწავლობს. ეს მისი პირადი სურვილი და გადაწყვეტილება იყო, თუ ამ საქმეში თქვენი ხელიც „ურევია“?

— ამ საქმეში ჩემი ხელი ნამდვილად არ ხელეწილა. მე არც ასეთი „გრძელი“ ხელები მაქვს. უბრალოდ ბედნიერი დამთხვევა მოხდა — შესანიშნავმა ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ჩვენი ჩამორჩენილი კინემატოგრაფიის ამოქაჩვა გადაწყვიტეს და იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სასწავლებლად გააგზავნეს, ჩემი შვილიც აღმოჩნდა. ეს მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა ერთი პროფესია, უნივერსიტეტის დიპლომი, ერთხანს მასწავლებლობა კიდევც ქებაში ნუ ჩამომართმევთ და ვიტარებთ საკმაოდ კარგი პოეტია და არც თუ ისე ურიგო კრიტიკულ წერილებსაც წერდა. სამწუხაროდ, ახლა ნაკლებად წერს, დრო აღარ ჰჩება, მის დიდ ნაწილს — გზაში

ვუკითხავდი (ცნაობ, რომ დღეს ველარ ვუკითხავ, მე მენატრება მათთან ამგვარი კონტაქტი) გვრძნობდი, რომ მათ ესმოდათ ჩემი და ეს ძალას მმართველთა. ახალგაზრდები ჩემს გვერდით იყვნენ მაშინაც, როცა მიტინგებზე მათ წინაშე სიტყვით გამოვიდი. დღეს ამ ინტერესსა და მხარში დგომასზე გვერს ველარს ვიტყვი, რადგან შემოთავაზებთ, ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულნი პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვეწვევით და რომელიც ჰემარტ თავისუფლებამდე უნდა მივიყვანოს.

— თქვენ ბრძანებთ: „არა ვართ მომხრე, როგორ თავისუფლებასაც გვიწყალობენ ისეთი მივიღოთ, ჰემარტება ერთი — მივიღოთ ისეთ თავისუფლებას როგორსაც მოვიპოვებთ“. როგორია ეს თავისუფლება და ემთხვევა თუ არა მასზე თქვენი წარმოდგენა ახალგაზრდობისას?

— ამაზე ალბათ ისევ ახალგაზრდობისთვის უნდა გვეკითხათ. რაც შეეხება თქვენს მიერ მოხმობილ კიტატას, ზუსტად ვერ გეტყვი, ის მე მეკუთვნის თუ რომელიმე ჩემს კოლეგას. ჰემარტება თუ არა ისაა, რომ საბჭოთა კავშირში თავიდანვე ერთი პრინციპი მოქმედებდა — ერთნი (ძლიერნი ანაქვეყნისანი) უფლებამოსილი იყვნენ სხვებისთვის თავისი ნება ეკარნახათ, მეორენი კი (ესე იგი ჩვენ და თქვენ) გვესურდა თუ არა, ეს ნაწყალობევი ნება უნდა აღგვესრულებინა. ჩვენთვის და თქვენთვის კი რასაც იმეტიდნენ და იმეტიდნენ, ჩემზე არანაკლებ მოგესხებოდა.

ხაზს ვუსვამ იმასაც, რომ ჩვენ ვინმეს როდი ვებრძვი, ან რაიმეს ვართმევთ, უბრალოდ ვიბრუნებთ იმას, რაც ოდითგანვე ჩვენ გვეკუთვნოდა — თავისუფლებას!

— და ბოლოს, როგორია თქვენი პროგნოზი — ვინ იქნება შემდეგი, ვინ დაიბრუნებს ნანატრ თავისუფლებას?

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1932 წლის 16 ოქტომბერს კაუნახში. 1955 წელს დაამთავრა ვილინიუსის კონსერვატორია.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, პროფესორი. 1988 წლის ნოემბერში აირჩიეს „საიულისის“ ხეიმის საბჭოს თავმჯდომარედ. 1989 წლის მარტში — ხსკ სახალხო დეპუტატად, ხოლო მიმდინარე წლის 24 თებერვალს — ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. შეუღლები გაერთიანდა კონსერვატორიის პედაგოგთან, ჰყავს ხაში შვილი. ვაჟი ვიტაუტასი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია.

პოლიტიკამ კი არა, ცრუპოლიტიკამ მოკლა, ცრუ პროპაგანდამ და ავტოციათა; სიკრულის გამომდებელმა დემონსტრირებამ და იმის ჩინება, რომ საბჭოთა ადამიანები თითქმის მომავალს ვაშენებდით, ვაშენებთ და ვაშენებთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ამ ახალგაზრდების სულში იმდენად დასახინჩრებული, რომ იქნებ მართლაც განწირულნი არიან და ვეღარც კი შეიძლება ფეხზე წამოდგომა.

— კვლავ ჩვენს შეკითხვას მიუბრუნდებით — თქვენი პოლიტიკა კი არაფერს მოკლავს, არაფერს გასწირავს?
— არა!
— ყველგან, სადაც კი ამ დღევანდელ ახალგაზრდებზე გვესაუბრებოდნენ, ერთს უთუოდ უხვამდნენ ხაზს — დიდ ნდობას, რომლითაც თქვენ, უფროსი თაობა, ხართ განწყობილი მათ მიმართ. რით დამსახურა ახალგაზრდობამ თქვენი ესოდენი ნდობა და თუ ხედავთ მათ შორის ადამიანს, ვისაც ხვალ უყუარებოდ მია-

პიტაუზას ლანდსბარგისი:

„ვიბრუნებთ იმას, რაც ოდითგანვე ჩვენ გვეკუთვნოდა...“

ნდობდით თავისუფალი ლიტვის მართვის სადავეებს?

— დიდ ნდობაში კონკრეტულად მაინც რას გულისხმობდნენ ამის განმცხადებლები?

— თუნდაც იმას, რომ თქვენი კულტურის მინისტრი სულ 28 წლისაა და რომ ეს გამონაკლისი არ გრის...

— სწორედ რომ გამონაკლისია. გამოიტყულებით, რომ სანამ ჩვენ მას ამ პოსტს მივანდობდით, დიდხანს ვორჭოფობდით. და არა იმიტომ, რომ ამ ახალგაზრდის ნიჭის და უნარის არ გვეჭოროდა, უბრალოდ — ჭერაც ვერ დავაღწევთ თავი ინერციას — ისევ და ისევ მისი ახალგაზრდობა გვაფიქრებდა... თუმცა, ალბათ, მომავალში ამასაც დავძლევეთ...

რაც შეეხება ქვეყნის ხვალისდელ მმართველს... დღევანდელ ახალგაზრდებში არის ამის პოტენცია, მაგრამ კონკრეტულად ვინმეს დასახელება მაინც გამიჭირდება. ენერგია, რომელიც ხვალისდელი ლიტვის მართვის დასკირდება, ჭერაჭერობით ერთ კონკრეტულ პიროვნებაში ნაკლებად კონცენტრირებული, ის განხეულია და მისი მორგოვება ისევ მომავლის საქმეა.
— რომელი მთავარი პრობლემა გადაუწყვეტთ ლიტვის ახალგა-

ატარებს — თბილისსა და ვილინიუსს შორის — შინ მას პაწია შეილი ელოდება და მოგესვენებათ მოსიყვარულე მაშის ამბავი...

— რაკი თქვენი ვატი ხშირად ვილინიუსში, ალბათ, აქაური მოვლენების შუაგულშიც ტრიალებს. და თუ ასეა, ხომ არ გხურთ, რომ ხვალ იხიც პოლიტიკოსად იხილოთ?

— არა, არ მსურს, რადგან ის საამისოდ კირვე უფრო ნაკლებად გამოდგება, ვიდრე მე. საერთოდაც ვტყობ, რომ ვიტარებთ არც თუ დიდად აინტერესებს პოლიტიკა. და თუ მაინც ინტერესდება, პოლიტიკისადმი დამოკიდებულების გამოხატვის საკუთარი გზა აქვს — ხელოვნება.

— თვლით თუ არა, რომ პოპულარობით ხარგებლობთ ახალგაზრდებს შორის და თუ თვლით რატომ?

— ამის შესახებ ალბათ თავად ახალგაზრდებისთვის უნდა გვეკითხათ...

— ვკითხვთ და მათი სიმპათია ძირითადად თქვენს მხარეზეა, თუმცა არც ოპოზიციონერებზე უნდა გავაძღვოთ თითვე ჩამოსათვლელი...
— ცხადია. ეს ასეც უნდა იყოს. როდესაც ჩემი სპეციალობით ვმუშაობდი, ახალგაზრდებს ლეკიები

— არ ვიცი, იქნებ საქართველო, იქნებ მოლდავეთი... მაგრამ კავშირიდან გასული ქვეყნების ათეულში რომ თქვენც იქნებით, ეს ცხადია. მე ვიცი იმ წინააღმდეგობების შესახებ, რომლებმაც მოიცვა დღეს ქართული ეროვნული მოძრაობა, ვისურვებდი, რომ ისინი მალე გადაჭრილიყოს. აქ უთუოდ უნდა თქვას თავისი სიტყვა ახალგაზრდობამ. სამწუხაროდ, მე საქმარისად მაინც არ ვიციან ქართული ახალგაზრდების განწყობილებას, მაგრამ ძალიან მინდა, რომ მათ შორის არ ჰქონდეს ადგილი არც პოლიტიკურ და არც იდეურ შეუთანხმებლობას, რომ ისინი ერთსულ იყვნენ ყველაფერში. თუ ეს ასე იქნება, მეწმუნეთ, მაშინ თავისუფლებაც არ დაახანებს...

ესაუბრნენ რუსუდან ლეხანიძე და მარიამ დონაძე, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები.
ვილინიუსი-თბილისი. 1990 წლის 24 მაისი
ანდრეუს პატრიულავისის ფოტოები.
(„საიულისის“ საინფორმაციო სააგენტო)



დღეს საქართველოში მრავალი საქველმოქმედო საზოგადოება თუ ფონდი მოქმედებს. ყოველი მათგანი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს გაუმჯობესებას ემსახურება. გვესაუბრება ახალშექმნილი საკავშირო საქველმოქმედო საზოგადოება — „მრავალშვილიანი ოჯახის“ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ომბარ ანიკაშვილი.

ოჯახი არის ბურჯია

— ბატონო ოთარ, თვით სახელწოდება „მრავალშვილიანი ოჯახის“ წარმოადგენს საზოგადოების არსს. ვთხოვთ, უფრო ფართოდ გაგვაცნოთ თქვენი საზოგადოების მიზნები და ამოცანები.

— ახალი საქველმოქმედო საზოგადოების ძირითადი მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების შენარჩუნება, განმტკიცება, მატერიალური და მორალური სტიმულირება, მათი სოციალური პირობების უზრუნველყოფის, პროფესიული გაუმჯობესება. გარდა ამისა, ჩვენ მიზნად ვისახავთ ავადმყოფების შემთხვევაში მალაქვალდიციური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, პროფესიული გაუმჯობესების უზრუნველყოფის. ეს არაა ლიტონი სიტყვები, რადგან ამ მხრივ უკვე გადაიღეს პირველი ნაბიჯები, იქნება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სპეციალური სამკურნალო ცენტრი.

მის. თუ რესპუბლიკური განყოფილების დამოუკიდებლობის საკითხი დადგება, ჩვენ მისი მიღწევა არ გავგვიკვირდება, ეს დიდ წინააღმდეგობებს არ უნდა იყოს დაკავშირებული.

— როგორ ფიქრობთ, როგორც საკავშირო საზოგადოების შემადგენელ ნაწილს, გეგმებით საშუალება, რომ ზემო ინსტანციის დაუკონკრეტებელი გადამწყვეტილება ერის ინტერესებიდან გამომდინარე.

— საკავშირო საზოგადოების გამგეობამ მოგვცა სრული დამოუკიდებლობა და მოქმედების თავისუფლება რესპუბლიკის ფარგლებში. მრავალშვილიანი ოჯახების ინტერესებისათვის ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ ნებისმიერი საქველმოქმედო ღონისძიება ცენტრთან შეთანხმებულად. არც ერთ ჩვენს გადაწყვეტილებას საზოგადოების ხელმძღვანელებს არ შევუთანხმებთ და რაიმე შეზღუდვა მათი მხრიდან არ არის მოსალოდნელი. ეს საკითხები ჩვენ თავიდანვე შევითანხმეთ და გადავწყვიტეთ.

— ბუნებრივია, დაახლოებით კითხვა — როგორ იქმნება საკავშირო საქველმოქმედო საზოგადოების საქართველოს განყოფილება და არა საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „მრავალშვილიანი ოჯახის“?

— საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით უკეთესია ვიყოთ საკავშირო განყოფილება, ვინაიდან მას აქვს დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები. ამ ფუნქციონირებიდან საქართველოს განყოფილებისათვის გამოყოფა სოლიდური თანხა სტატიით დახარალებული მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარებისათვის. ამავე დროს განზრახულია რესპუბლიკური სამედიცინო სამედიცინო ცენტრის მშენებლობის დაწყება და უზრუნველყოფის დასაწყისი. ეს ცენტრი პირველ რიგში მრავალშვილიანი ოჯახების განმარტებისათვის დაიცავს იზრუნებს. ასეთი მატერიალური დახმარება რესპუბლიკური საქველმოქმედო საზოგადოებისათვის მისი ჩამოყალიბების პერიოდში მეტად საკუთარსა და მალაქვალდიციურ რეაგირებას.

— როგორია დღეისათვის თქვენი ფინანსური შესაძლებლობები?

— საწყის ეტაპზე, როგორც ზემოთ ითქვა, ფინანსურ დახმარებას მივიღებთ საკავშირო საზოგადოებისაგან. ეს სახსრები პირველ რიგში მიმართული იქნება იმ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე, რომელიც აქარაასა და სენიურში მომხდარი სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულნი, უსახლკაროდ დარჩნენ და ახალ ადგილებზე სახლდებიან. შემდგომში, როგორც ყველა საზოგადოებრივი საქველმოქმედო ასოციაცია, ჩვენც ფონდიც შეიქმნება იმ შეუძლებლების ხარჯზე, რომელსაც ველოდებით საწარმო-დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან. თუ ცალკეული პირებისაგან; ფუნდები. დახმარებას გადმოიტანება შეიძლება საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საბურჯაო სამმართველოში საზოგადოება „მრავალშვილიანი ოჯახის“ — საქართველოს განყოფილების ანგარიშზე. ანგარიშის № 001700007.

— ცნობილია, რომ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება დემოკრატიული საზოგადოების მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროს წარმოადგენს. ეს ზომი არ იქნება თანამედროვეობის დემონსტრაცია, რაც ხელს შეუშლის ორივე საზოგადოების მუშაობას.

— დემოკრატიული საზოგადოების მეტად დიდი მისია აქვს, გარდა ამისა, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მრავალშვილიანი ოჯახებზე ზრუნვა, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ მუშაობას. ხოლო ჩვენი საზოგადოების მისია მრავალშვილიანი ოჯახებზე ზრუნვით განისაზღვრება, ვინაიდან ამით კარგ სამსახურს გავუწევთ დემოკრატიული საზოგადოების.

ამასთანავე, ჩვენი საზოგადოება არამარტო მატერიალურ დახმარებას გაუწევს მრავალშვილიანი ოჯახებს. გათვალისწინებულია, რომ შეიქმნება მთელი საქართველოს მასშტაბით ადგილობრივი განყოფილებები, რომელთა დახმარებით ცენტრს ექნება რეგიონების მიხედვით სრული ინფორმაცია. ასევე ცენტრის ხელში მოიყვინთა თანამედროვე ტექნიკა, რომელიც დღეს სხვადასხვა დაწესებულებებში დაქსაქსულია ნაწილობრივ მრავალშვილიანი ოჯახებზე და დაუგეგმიურად ასეთი ოჯახების დახმარებას მათი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.


— რა პრობლემები დგას საზოგადოების წინაშე და რით შეუძლია ქართულ საზოგადოებრიობას, რომ მხარში ამოვიდეთ?

— პირველ რიგში აუცილებელია ყველა მრავალშვილიანი ოჯახის აღრიცხვა და პასპორტიზაცია, ეს დიდი საქმეა. ამას საზოგადოების გამგეობის წევრთა ერთუზიანობი არ იყავს. ამ საქმეში მთავარი დახმარება უნდა გაგვიწიონ სასოფლო, რაიონული და საქალაქო საბჭოები ადმინისტრაციები. მათ უნდა მოგვამოცილონ უზუსტი მონაცემები თავიანთ რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების, მათი სოციალური თუ მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე, მისასაძლებელი იქნება, თუ ხელს შეწყვიტავს რეგიონებში საქველმოქმედო ჯგუფების შექმნას საზოგადოებრივ საწყისებზე, რადგან ჩვენი ყველაზე დიდ დახმარებელსა საზოგადოებაა. ბოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება უზრუნველყოფა საზოგადოების ეფექტური მუშაობა; სახსრების სწორი გადაწვლილება, დახმარების თვითობისა და ფორმების განსაზღვრა, მრავალშვილიანი ოჯახების ადგილზე ხელის გაყვანა, მათი კონკრეტული პრობლემების შესწავლა და სხვა.

— როგორია ორგანიზაციების დახმარება და გეგმით დაქვემდებარება ამ კეთილშობილი საქმის წარმატებისათვის.

— ისევე, როგორც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციის თანადგომის იმედი გვაქვს.

გენერალ-მაიორი ლონდონიშვილი



ექსტრასენსიზმაზე არც უფიქრია, როგორცაც ისე, ბუნებრივად მოხდა ყველაფერი.

1989 წლის ივლისში ნათელა იმერლიშვილიან სტუმრად მოხვდა ბიოენერგეტიკის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი, სტუმრის მისივე მასპინძლის შესაძლებლობების შესახებ. მანაც ურჩია, უფრო დაეძინა არ დაეცოდა და ეს მონაცემები. რამდენიმე დღეში ქალბატონი ნათელა მოხვდა გასულიყოფისათვის — უკონტაქტო ბიომასაჟით საყოველთაოდ ცნობილი მკურნალის ჯენა დავითაშვილის მოსწავლესთან. გასულიყოფის მონაცემები, ნახა მისი მონაცემები თერაპიულურად. ცხადია იყო, რომ ნათელა იმერლიშვილის ჰქონდა ძლიერი მონაცემები. შემდეგ იგი გაის რეკომენდაციით მოხვდა ჯენასთან, გაიარა სათანადო კურსი და დაეუფლა მკურნალობის მედიცინის თბილისში ჩამოსვლისთანავე მუშაობა დაიწყო ქალაქის მე-9 პოლიკლინიკაში.

წარმატებაც მალე მოვიდა. განკურნებული პაციენტები და მათი ახლობლები მას საოცარ ჩინაფიქრებს ურთუვებდნენ. მაგალითისათვის მოვიშველებ რამდენიმე ფრაგმენტს: „მამუხვებდა უფიქრობა, სმენისა და მხედველობის დაქვეითება. ვლებულობდი საძილე საშუალებებს, მაგრამ ამოდ. მეორე დღეს თავს უარესად ვგრძობდი ხოლმე. ქალბატონი ნათელას პირველივე სესიის შემდეგ ნორმალურად დავიძინე, მეორე გამომეცოდა სმენაც და მხედველობაც. სულ ჩავიბრუნე თვის სუნამო. თავს შესანიშნავად ვგრძობ“, — წერს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტის პერიდიკის კაბინეტის გამგე ნათელა ბუაძე.

შეიძლება ვთქვათ ნათელა ბუაძე მთლიანად მუშაობის ანთება აწყობდა. მოხვდა ნათელა იმერლიშვილიან. მან ორი კურსი ჩაუტარა. ბავშვის დედა ელოდა მთლიანად მუშაობის და დაელოდა ორივე კურსს. „პირველ კურსზე ორი სესიის შემდეგ ორივე ყურიდან წამოვიდა ჩირქი, ასე გაგრძელდა ორი კვირა, შემდეგ ორივე ყურიდან ჩირქი დაეწყო. ამჟამად ბავშვი თავს ძალიან კარგად

მელოია მელოია ხელის-სათვის

გრძობს. ქალბატონმა ნათელამ მეორე ბავშვიც განმიქურნა ამავე დაავადებისაგან. იმდენად მაღლივი ვარ მისი, გამოხატავს კი არ შემოძლია“.

საინტერესო შემთხვევა ჰქონდა ქალბატონი ნათელას ერთ პაციენტთან. ელოკო აბაშითისთან, რომელსაც ფეხის მექანიკა აწყობდა. ერთი კურსის შემდეგ ავადმყოფი საკვებით გამოჯანმრთელდა — მივიტარა სპორტის, განსაკუთრებით ვერ ჩამოვიტოვე კიბეებიდან, მქონდა საშინელი ტკივილები მუხლისა და მუხლის ქვედა მხარეში. თავიანთ ვერც დავიჯერებდი, რომ ასე შეიძლებოდა ჩემს მკურნალობას, მაგრამ მოხდა სასწაული. გადაჭრის, არც ოპერაცია დამჭირდა.

„მქონდა ორმხრივი საშფეკო ნერვის ნევრალგია, კისრის ოსტეონოროზი. რვა წელი მაწულებდა ავადმყოფობა. მქონდა ძლიერი მეტეორიზმი, წერს სიმონ ჯუღასელი, — ამის გამო მიწვევდა საავადმყოფოში ორი-სამი თვე წოლა. ვმკურნალობდი ყველა არსებული საშუალებებით, მაგრამ მხოლოდ პერიოდული გაუმჯობესება მქონდა. ბოლოს შემომთავაზეს ოპერაციის გაცხებაც. მეორე მოხვდით ქალბატონი ნათელასთან. ჩავიტარე სამი კურსი. ახლა წამლებსაც აღარ ვღებულობ, მთლიანად გამოემჯობა და მდგომარეობა უღრმესად მაღლიან ქალბატონი ნათელას მადლიან ხელს...“

გვიქრებ, საქმარისია. ქალბატონმა ნათელამ იმერლიშვილიან ამ დღეებში მიწვევა მიიღო ისრავილიან. მისგან იქაც ელოდებიან შევლას.

და ბოლოს, ქალბატონი ნათელა თბილისში ამას წინათ ოფიციალურად გახსნილ ბიოენერგოთერაპიის განყოფილებაშიც მუშაობს. აქაც ვინა სულაქველობის გვერდით. ამ განყოფილებაში გარკვეული კუთხით ბიოენერგოთერაპიის მეცნიერული შესწავლა მიმდინარეობს. თავის საქმიანობაში ქალბატონი ნათელა ცდილობს მკურნალობის სხვა საინტერესო მეთოდების ჩართვას.

დიტო ჯუღასელი
იური მიხიტოვის ფოტო.

საზოგადოებრივობის ნაწილი

სათვის ცნობილია, რომ ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ საბანკოს ორდენი ქაშუეთის ტაძრის ეზოსთან ყოველი შაბათს მოუხმობს იმით, ვისაც სურს კვირამ ერთ დღეს დაივიწყოს თავისი ყოველდღიური საზრუნავი და ეს დღე გაკვირვებულ თანამომეგს დაუთოს. ითქვა იმის თაობაზეც, რომ თბილისში დაახლოებით 8 ათასამდე მარტოხელა, რომელთაგან ათასს უკიდურესად უჭირს, ხოლო ასი (ციფრა არ არის საბოლოო) იმდენად უქონელია, რომ თავისი თავის გამოკვებაც არ შეუძლია.

ჩვენდა სასიხარულოდ, მოწოდებას ბევრი თბილისელი გამოვხმაურა. მას აქვთ დათქმულ დროსა და ადგილას მოდიან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები. მოდიან სტუდენტები, ახალგაზრდები, დედები, რომელთაც შვილები-სულის დღესასწაულზე მოჰყავთ, როგო ტაძრების მლოცველები... ზოგიერთს თან საკვები და ტანსაცმელი მოაქვს. მოდიან ის გაკვირვებულებიც, რომელთაც სიარული შეუძლიან.

გვსარება საწარმო-დაწესებულებებისა და სამინისტრო-უწყებების (მათ შორის ცეკავშირისა და აგრომრწვის, ს/კ „სიხარულია“ და სააფთიაქო სამმართველოს...) კოლექტივთა თანადგომა, მაგრამ არავის შეუერთდნენ მადლობის

შეხველა შეხვედრის საათი

სიტყვებით არც ჩვენი და არც გაკვირვებულ თანამომეგთა სახელით, ვინაიდან გვერდა, რომ ისინი მადლობისათვის არ გარკვიან.

ტაძართან მოსული ბევრი თბილისელის აზრით, საბანკოს აქციამი მონაწილეობის სურვილი კიდევ უფრო ადამიანს აქვს, ოღონდაც ზოგიერთი ბოლომდე ვერ გარკვეულა, რის გასაკეთებლად მოუხმობთ. პირველყოფისა, იმ ასი უქონელი ადამიანის მოსაკითხად, ზემოთ რომ ვახსენეთ. ამასთან არ არის ვინმესათვის საკვალდებულო საკვების სახლობის მოტანა, რადგან მცირეოდენ პროდუქტს ამ ადამიანთათვის ის ორგანიზაციები გამოყოფენ (მოძრაობაში თანდათან სხვა საწარმო-დაწესებულებებშიც ებმებიან) ზემოთ რომ ვახსენეთ. ასე რომ, ტაძართან შეკრებილებს ასევე ადამიანისათვის ცალ-ცალკე პარკებში ჩალაგებული პროდუქტები უხვდებათ. ამასთან, ბინაზე მისულები ესაუბრებიან, ამხნევენ მარტოხელებს, არკვევენ რა უჭირთ ამ წუთებში ყველაზე მეტად. ვისაც მხოლოდ ამის გაკეთება შეუძლია (ან უნდა), ამით იფარგლება კიდევ. ზოგიერთი კი ამას არ სჯერდება, სასლკარს ულაგებს, ურცხვებს მარტოხელას, არც მალაზისა

და აფთიაქში წასვლაზე ამბობს უარს და ა. შ.

მარტოხელათაგან ბევრია ისეთი, თავადვე რომ შეუძლია საქმელ-სამსელის შექმნა, ოღონდაც საიარული უჭირს, ზოგს საკმლის გაკეთება არ შეუძლია (განსაკუთრებით ინვალიდებსა და მარტოხელა ბერიკაცებს). ყველას აწუხებს თეთრეულის გარეცხვის პრობლემა, ამიტომაც ვეძებთ ავტომანქანის მოხალისეს, ვინც უსასყიდლოდ დაგვიხმარება ორ კვირაში ერთხელ სარეცხის შეგროვებასა და სუფთა თეთრეულის დარიცხვას.

ძალიან ბევრს უჭირს წამლის შოვნა. სააფთიაქო სამმართველოს არასდროს უთქვამს უარი, მაგრამ, საშფუხაროდ, რიგი პრეპარატების მათაც არა აქვთ.

უფრო დაწვრილებით ვინც დაინტერესდება გაკვირვებულთა პრობლემებითა და ჩვენი საქმიანობით, ტაძართან მოვუხმობთ.

გთხოვთ, მიაქციეთ ყურადღება: შეიცვალა შეხვედრის საათი. უკვე ამ შაბათთან მოყოლებული შევიკრიბებით არა 14, არამედ 11 საათისათვის. შეხვედრის ადგილი უკველია: ქაშუეთის ტაძრის ეზო.

სათნობის ორდენი
ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“



შეძენა „სოიუზბენჩატის“ ჯიხურებში შეგვიძლიათ.
საპუტარო ინფორმაცია



პირველი ეტაპი დაეთავრდა. ყრილობის მუშაობა ბრძოლაში

(დასასრული)

ექტის განხილვით დაიწყო იდეოლოგიური მუშაობისა და კანონის ზონისაგან ყრილობის დელეგატების რეგიონული შეხვედრა, რომელიც თელავში გაიმართა. ამ საკითხისადმი ასეთი დიდი ყურადღება სავსებით გასაგებია, — მისზე გაცივულ პასუხზე და მოკიდებულ, როგორი იქნება საქართველოს კომუნისტური პარტია ზვალ, როგორ იმოქმედებს ახალ პირობებში, რა გზას აირჩევს, რათა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები საზოგადოებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვაჟა გურგენიძემ, გახვთ „კომუნისტის“ რედაქტორმა მინდია უგრეხელიძემ, გახვთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა ელიზბარ ჯაველიძემ განმარტეს პოზიციები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა კომისია, როცა სთავაზობდა ამა თუ იმ ფორმულირებას, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროექტის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყება მისი აქტიური განხილვა პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში. სარედაქციო კომისია ყურადღებით გაეცნობა ყველა წინადადებასა და შენიშვნას, რათა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპის დაწყებისათვის ჰქონდეს სრულფასოვანი დოკუმენტი, რომელიც იმოქმედებენ რესპუბლიკის კომუნისტები.

ყველა ამ პრობლემაზე გაიმართა გულახდილი და პატიოსანი სჯა-ბაასი. ითქვა, რომ საჭიროა შევიშოთ, როგორც საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე ითქვა, კონსტიტუციური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დღეს საზოგადოების წინაშე მდგომი ყველა მტკიცეული საკითხის გადაჭრას, საყოველთაო აღიარებული ნორმების დარღვევების მიმართ შეურობებელი პოზიციების დაკავებას.

დღეს ყველაზე მთავარია, საგანგებოდ აღინიშნა შეხვედრაზე, უარი ვიქვით მუშაობის დრომოქმულ მეთოდებზე, ვეწეოდეთ აღამიანებთან გულახდილ დიალოგს ცხოვრების ყველა მწვავე პრობლემაზე, უფრო ზუსტად გამოვხატავდეთ ჩვენს პოზიციას ამა თუ იმ ამბისა და მოვლენის თაობაზე. უფრო მეტად ვეყრდნობოდეთ საზოგადოებრივ აზრს, ვითვალისწინებდეთ მოსახლეობის ყველა ფენის განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერესებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის გათვალისწინებით, ჩვენ გვექნება თვისებრივად განახლებული პარტია, ახალი მიზნებისა და ამოცანების პარტია, რომელიც გაითვალისწინებს რეალურ გაერეობებს, აქტიურად იბრძოდეს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემათა გადაჭრისათვის.

ამ დოკუმენტების მიღება ახალი იმპულსს მიანიჭებს საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობას, პოლიტიკური პლურალიზმის, ახალი თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პირობებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის ზორცემისასხმელად, რომელიც შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან დებულებას. უფრო აქტიურად უნდა განვუმართავდეთ ხალხს მის მნიშვნელობას მომავლისათვის, ყველაფერს ვაკეთებდეთ, რათა იგი მხოლოდ ქალაქზე არ დაჩრჩეს.

გაიმართა შეხვედრები და საუბრები თელავის შრომითს კოლექტივებთან.

რეგიონული შეხვედრები გაიმართება რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც.

გ. კობალიძის მიერ შექმნილი ექსპრესიული ფერწერის ენაში მუშაობს. ახალგაზრდა მხატვარს ნაწილობრივ ემჩნევა კიდევ ექსპრესიონისტების გავლენა. მავალითად, გოგონა კაფეში, ერთი შეხედვით პიკასოს ცნობილ „აბსენტს“ გავახსენებთ, მაგრამ მხოლოდ — ერთი შეხედვით. ნახატი ნამდვილად თავისთავადია, განსხვავებულია კომპოზიციურად, მხატვარს მსუყვე ფერები აქვს გამოყენებული — ლურჯი, ნარინჯისფერი... თავისუფალი, თითქოს ერთი ამოსუნთქვით შესრულებული ნამუშევარია, არ გაააჩნია არც ერთი ზედმეტი დეტალი, ყველაფერი თავის ადგილასაა; განათება, ჩრდილებიც ლოკალური ფერებითაა გაკეთებული და არა ტონებით. საყურადღებოა „უილბლო დღე“, ზუსტადაა გადმოცემული ხელმოკარული კაცის განწყობილება. ასევე, კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ პეიზაჟი „შემოდგომა სოფელში“ და „წარსულის გახსენება“. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით „ავტობორტრეტზე“, აქ პიროვნების ხასიათი კარგადაა გახსნილი, მაგრამ თვით წერის მანერა უკმაობის გრძობას ბადებს, ნახატი, შეიძლება ითქვას, „ჭუჭყლიანი“ — გაურკვეველი ტონებითაა შესრულებული, მაშინ, როცა ნახატში „გოგონა კაფეში“ ყველაფერი ცხადი და გარკვეულია.

გ. კობალიძის კარგად ფლობს ფერებს, მაგრამ ვერ კიდევ სჭირდება ხატვის ოსტატობაზე ზრუნვა. ირმა ლეჟავა განსხვავებული მანერის შემოქმედია. მისი ნამუშევრები გულწრფელობითა და უშუალოებით ხიბლავს მნახველს. დიდებულია „შავშლიანი ქალი“ (სახელწოდება პირობითია, მხატვარს სურათებისთვის სახელები არ დაურქმევია), თითქოს სიზმარში ხედავდეთ ამ საოცრად თეთრ ქალს, შლიაპისა და შავი ხელთათმის ფერი ფრიად ინტენსიურია, ძლიერია, მაგრამ თვით პორტრეტი საოცრად ნაზია. კონტრასტული ფერები ძალზე ეხმარება ხასიათის, შინაგანი ბუნების წარმოჩენას, დეკორატიული ელემენტები მხატვარს ძუნწად აქვს გამოყენებული, მაგრამ პორტრეტი მაინც სახიერი გამოვიდა, საერთოდ, ირმა ლეჟავა ძალზე ლაკონურ, მარტივ ფერებს იყენებს, მაგრამ ეს ზელს არ უშლის, მავალითად, „თოჯინა გოგონას“, მნახველზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს.

ფრიად საინტერესო მხატვარია თამარ მინაშვილი. მშვენიერია „ზვარი“, „სანაბირო“, „შესანიშნავია (მოზაიკას მოგაგონებთ!) „ბუჩქი“. მამარ შთაბეჭდილებას ახდენს აქ გამოყენებული შუქ-ჩრდილების თამაში. მხატვარს კარგად აქვს განვითარებული სივრცის, მოცულობისა და ფერების გრძობა, მშვენიერად იყენებს სხვადასხვა ტონალობის ფერებს, უმეტესად — თბილსა და ცივ მწვანეებს, რომლებიც მთლიანობაში კარგადაა ერთმანეთთან შეხამებული.



გ. მექვაბიძის მიერ აკვარელით, გუაშითა და ზეთით მუშაობს. კარგად ფლობს აკვარელის ტექნიკას. მისი „პორტრეტი“ (ზეთი) მშვენიერადაა შესრულებული, ოდნავ სტილიზებულია, მაგრამ ეს ნახატის წაკითხვას ზელს არ უშლის. მოხდენილადაა გამოყენებული ყავისფერი და მოყვითალო ფერები. საერთოდ, ამ მხატვრის წერის მანერა ოდნავ ნერვული მონასმებით ხასიათდება. ეტყობა, უყვარს ესკიზური ფორმები (აქველი თბილისის უბანი).

სასამოვნო და სასიხარულოა, რომ ამ „შე“ იშნავ ზუთელს, კერ კიდევ ალბედო მხატვრებს, ერთი საერთო თვისება აქვთ — ყოველ მათგანს ახასიათებს აზრის გადმოცემისა და წერის მანერის სითამაშე, რაც, ჩემი დრმა რწმენით, მათი ახალი წარმატებებისა და გამარჯვებების საწინააღმდეგობაა.

ლალი ცაჭინიძე

უთველ ახალ შემოქმედთან შეხვედრა ზეიმიად, მით უმეტეს ისეთთან, რომელს ნახელავიც სიხარულსა და სიამოვნებას განიჭებს. და ექვი არ მებარება, რომ ამგვარი სიამოვნება და სიხარული განიცდება ყოველმა თბილისელმა, ვინც

ზ. ჩილიდრიშვილი ფართოდ იმპროვიზირებს ახალგაზრდა შემოქმედის ახლებს პასტელს, აკვარელს, ფანქარს, სხვებითან შედარებით ირაციონალისტია. თითოეულ ნახატს საკუთარი მიკროსამყარო აქვს, ყოველი მათგანი



ბუნების სილამაზეობა

ილია ჰავციანიის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმში ამასწინათ მოწყობილი გამოფენა დაათვალიერა.

გამოფენაზე თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინა მამხატვრო აკადემიის ხუთმა სტუდენტმა — ზურაბ ჩილიდრიშვილმა, გიორგი კობალიძის მიერ, ირმა ლეჟავამ, თამარ მინაშვილმა და ვია მექვაბიძის მიერ.

პირველი სასამოვნო ექვეტი, რომელიც დამთავლიერებელს დაბაზში შესვლისას ეუფლება, ისაა, რომ არც ერთი ამ ხუთთაგანი ერთმანეთს არა ჰგავს. თითოეულს თავისი სამყარო აქვს, თავისი ხედვა და დანახულის გადმოცემის საკუთარი, თავისთავადი მანერა.

დასრულებული სიუჟეტია. ოსტატის ხელითაა დაწერილი „ფიჭვი“, „კომპოზიცია“, „ამაობა“, „ლაპე“, „ნიღბები“, „დილა“... კომპოზიციად ყველგან ნორმალურია, მთლიანია, არც ერთი დეტალი ამოვარდნილი არ არის. აი, „ბებოს პორტრეტს“ კი აკლია სახის ნაკეთების აქცენტირება, ოდნავ არეულია სიბრტყეები. ასევე, თავისთავად კარგ ნამუშევარში — „კაფეში“ — გამარტივებულია ფერები, კარგი იქნებოდა, ავტორს დამატებითი ტონები გამოეყენებინა. ზოგიერთ ნახატში საჭირო იყო მეტი ზრუნვა კომპოზიციის ცენტრზე. საერთოდ, ეტყობა ზ. ჩილიდრიშვილს უფრო გრაფიკა ემარჯვება და მომავალში, ალბათ, ძირითად აქცენტს სწორედ ამ მხარეს გადაიტანს.

